№ 126 მთავრობის მოამგე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, ივნისის 9 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან, 4-ზე გვ. 6 მან სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადების 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—8.

## აზოვ-შავი ზღვის სანაოსნო საზოგადოება

გენერალური წარმომადგენლები

## სანაოსნო და სატრანსპორტო საზოგადოება „როსისკი ლოიდ“

რეგულიარული მიმოსვლა საბარგო და სამგზავრო გემებისა

**გათუმი, ფოთი ოჩემჩირე, სოხუმი**

ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოება „როსისკი ლოიდ“-ის კანტორაში.
ბათუმი—ნაპირის (ნაბერეჟნაია) ქ., ჩილინგარიანის სახლი. ფოთი—საქართველოს სავაჭრო ბანკი. ტფილისი—(დროებით) „კავკაზ და მერკური“, ერევნის მოედანი, № 13.
სოხუმი—მოკლე ხანში იქნება გამოცხადებული მისამართი. 1373 8—1

## ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

**ამით აცხადებს რომ მიმდინარე წლის 31 ივნისს**

სოხუმის რაიონის ინჟენერის კანცელარიაში და ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციაში დილის 12 საათზე დანიშნულია საჯარო შეჯიბრება სოხუმის გარნიზონის სახაზინო შენობებიდან უსუფთაობის გატანაზე ერთი წლის ვადით.
პირობების გაგება შეიძლება აღნიშნულ კანცელარიებში ყოველ დღე გარდა უქმისა.
628 1—1

## საქართველოს რესპუბლიკის გზათა დეპარტამენტი

ამით აცხადებს სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათა და ყველა კერძო პირთა საყურადღებოდ შემდეგს:

1) უკანასკნელმა შექმნილმა მდგომარეობამ რესპუბლიკაში გამოიწვია სათბობ მასალათა და ნავთეულობის კრიზისი. ამის გამო აუცილებლად საჭიროა, რათა არსებული რაოდენობა ნავთეულობისა მოხმარებულ იქნას ეკონომიურად. დასახულ მიზნის განსახორციელებლად ყველა ორთქლის ქვაბები და სხვა მათი სხვა მსგავსი მანქანები დაუყონებლივ უნდა გადაყვანილ იქნენ შეშით ან ფხვნილი ქვა ნახშირის გახურებაზე, ვინაიდან ტყიბულის მსხვილი და კაკალი ნახშირი მოხმარებულ იქნება მხოლოდ რკინის გზათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ შიდაწვის მანქანები, რომელნიც უნავთოთ ვერ ამოძრავდებიან. რათა წესიერი მუშაობა ცოტა ხნითაც არ იქნეს შეფერხებული, ზემო ჩამოთვლილი დაწესებულებანი შეშის და ფხვნილი ქვა ნახშირის დამზადებას უნდა შეუდგნენ დაუყონებლივ, ვინაიდან ნავთის მიცემა შეწყვეტილი იქნება ოც ივნისიდან.

2) მთელი რაოდენობა ნავთეულობისა, როგორც ნავთობი, გადაგვარებული ნავთის ნავთი, წასასმელი ზეთი და ბანჯგვანი, რომელიც ინახება სახაზინო და კახეთის რკინის გზე, ბზე, სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათა და კერძო პირთა საწყობებში—ირიცხება დეპარტამენტთან არსებულ ნავთეულობის გამნაწილებელ ბიუროში (ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 70, ნავთსადენის ნაწილი). ნაჩვენები მასალა აღირიცხებიან ქალაქთვითმართველობის, ერობის და სხვა საზოგადო ორგანიზაციათა შემწეობით.

3) ნავთობი შიდაწვის მანქანებისათვის და აგრეთვე სხვა ნავთეულობა სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულებათა და პირთათვის ბიუროს მიერ გაცემულ იქნება იმ გეგმის მიხედვით, რომელიც ყოველთვიურად შედგენილ იქნება ჩამოთვლილ დაწესებულებათაგან წარმოდგენილ მასალის თანახმად.

4) სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათ და კერძო პირთ ნავთობი მიეცემათ სახაზინო რკინის გზებისაგან ერთი თვის საყოფი ბიუროს მიერ შედგენილ გეგმის მიხედვით.

5) ნავთი და ბანჯგვანი მიეცემათ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათ და საზოგადო ორგანიზაციათ, აგრეთვე ერთი თვის საყოფი თანახმად ბიუროს მიერ შედგენილ გეგმისა. ეს მასალა პირველ რიგში გაცემულ იქნება იმ კერძო პირთა საწყობებიდან, რომელნიც ითვლებიან ბიუროსთან არსებულ აღრიცხვაში. სათანადო ორდერების გაცემა ნახსენებ მასალის მისაღებად დავალებული აქვთ ადგილობრივ ორგანიზაციებს (ერობა და ქალაქის თვითმართველობა).

6) რკინის გზებიდან ნავლები და ნავთეულობა გაცემულ იქნება თანახმად ზემოთ მოყვანილ წესისა ღირებულების წინასწარ გადახდის შემდეგ.

7) ფხვნილი ქვა ნახშირის შეძენა საწარმოო დაწესებულებებს შეუძლიანთ ტყიბულის მაღაროებში, რისთვისაც ცნობა საჭიროების შესახებ უნდა წარუდგინონ ინსპექტორს გზათა დეპარტამენტთან ნებართვის მისაღებად.

618 2—2 გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟენერი ბ. ჭიჭინაძე.

### ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

7 ივნისი, 1920 წ., № 173.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სამინისტროს კანცელარიის ბუჰგალტერის თანაშემწე გრიგოლ კირილეს ძე ასათიანი ამა წლის მაისის 12-დან.

დეპარტამენტის დირექტორი
ვ. ფორდანია.

—

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილისა.**

22 მარტი 1920 წელი.

**ინიშნებიან ტფილისის საბაჟოში:** ყულევის საბაჟოს გამგე კ. ფაჩულია უმცროს კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად; ლავოდეხის საბაჟოს გამგე ზ. თუშ-აბრამიშვილი, უმცროს კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად, ამავე საბაჟოს მდივნის უფროსი თანაშემწე ა. აბესაძე მდივნად.

**ფოთის საბაჟოში:** ამავე საბაჟოს უმცროსი კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. დიდია უფროს კონტროლიორად; ოზურგეთის საბაჟოს გამგის თანამდებობის აღმასრულებელი გ. მამინაიშვილი უმცროს კონტროლიორად.

**ნატანების საბაჟოში:** ყულევის საბაჟოს გამგის თანაშემწე ა. ბაბუნაშვილი უმცროს კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად, ტფილისის საბაჟოს მდივნის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ლ. შენგელაია საწყობის ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებლად; სადახლოს საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. ყიფიანი ბუჰჰალტრად იგივე მდივნათ.

**ხალოღლის საბაჟოში:** ტფილისის საბაჟოს უმცროსი კონტროლიორი ა. ხაინდრავა გამგის თანამდებობის აღმასრულებლად, ტფილისის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უფროსი თანაშემწე ვალ. ჯაჯანიძე უმცროს კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად; ტფილისის საბაჟოს ბუჰჰალტრის უფროსი თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ი. კანდელაკი საწყობის ზედამხედველად; ტფილისის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწე ვ. მარჯანიშვილი კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად.

**სადახლოს საბაჟოში:** ნატანების საბაჟოს საწყობის ზედამხედველი ვ. კაიშაური უმცროს კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად, სალოღლის საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი შ. თუხარელი საწყობის ზედამხედველად.

**ახალციხის საბაჟოში:** აბასთუმანის საბაჟოს გამგის თანამდებობის აღმასრულებელი ს. მუქერია გამგეთ.

**წნორის-წყლის საბაჟოში:** ახალციხის საბაჟოს გამგის თანამდებობის აღმასრულებელი შ. ჩიხლაძე გამგეთ.

ყველა ზემოდასახელებული პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობაზე 11 მარტიდან 1920 წ.

22 მარტი 1920 წ. № 10.

**განთავისუფლებულია** სამსახურიდან ტფილისის საბაჟოში: ამავე საბაჟოს ბუჰლალტრის უმცროსი თანაშემწე ანტონ წულუკიძე სალოღლის საბაჟოს გამგის თანამდებობის ასრულების დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისა გამო პასუხის გებაში მიცემით ამა წლის 11 მარტიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი ხ. ავალიანი.
საბაჟოს ნაწილის უფროსი ბ. მიქაძე.

—

**საქციზო სამმართველოს უფროსისა.**

16 თებერვალი, 1920 წ., № 6.

**დაინიშნენ:** აქციზის სამმართველოში 1) ვიქტორ მაჭავარიანი თამბაქოს ქარხნის კონტროლიორად, 2) ვლადიმერ ყანჩელი სამმართველოს ბუჰჰალტრის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად ორივე 16 თებერვლიდან 1920 წ.

№ 7.

თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წ. 27 თებერვალს დამტკიცებულ კანონისა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ორგანიზაციის შესახებ, ინიშნებიან: მდივანი სვიმონ სვიმონის ძე ღვთისავრიშვილი, მდივნის თანაშემწე ანემპოდისტე არჩილის ძე წულუკიძე, ბუჰჰალტერი ალექსანდრე ანტონის ძე კოჩინაშვილი და ოზურგეთის მაზრის აქციზის ინსპექტორი ირაკლი დიმიტრის ძე შავარდნაძე საქციზო სამმართველოს განყოფილებათა გამგეებად. პირველი სამი 1 ღვინობისთვიდან 1919 წ., ხოლო მეოთხე 1 მარტიდან 1920 წ. საქმის მწარმოებლები: უფროსი გერასიმე პეტრეს ძე ზაზანაშვილი, უმცროსი ივანე რევაზის ძე აღსაბაძე და მდივნის თანაშემწე ფილიპე პეტრეს ძე შეშენინი ინიშნებიან საქმის მწარმოებლად; პირველი მათგანი 1 ღვინობისთვიდან 1919 წ., მეორე 21 ღვინობისთვიდან 1919 წ. და მესამე 1 თებერვლიდან 1920 წ.

უმცროსი საქმის მწარმოებელი: ივლინე აბელის ასული იაშვილი, თამარა გაბრიელის ასული გერასიმოვი, და ნინო გიორგის ასული ერისთავი საქმის მწარმოებლის თანაშემწეებად—პირველი მათგანი 1 ღვინობისთვიდან 1919 წ., მეორე 6 ღვინობისთვიდან 1919 წ. და მესამე 11 გიორგობისთვიდან 1919 წ. რეგისტრატორი ელპიდე ანტონის ასული ყიფიანი და მანქანაზე გადამწერი ელენე ვასილის ასული ფავლენიშვილი საქმის მწარმოებლის თანაშემწეებად—ორივე 1 მარტიდან 1920 წ. რეგისტრატორი მარიამ დავითის ასული კაჭკირაშვილი მანქანაზე გადამწერად 1 მარტიდან 1920 წ.

ბუჰჰალტრის თანაშემწე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ნიკიტინი, უფროსი საქმის მწარმოებელი გიორგი ზაქარიას ძე გენიალიძე, უმცროსი საქმის მწარმოებელი: მიხეილ გაბრიელის ძე კანდელაკი და შალვა ქრისტესიას ძე კორინთელი ბუჰჰალტრებად 1 ღვინობისთვიდან 1919 წ., მანქანაზე მბეჭდავი მარიამ მიხეილის ასული თვაური ბუჰჰალტრის თანაშემწედ 1 მარტიდან 1920 წ. უმცროსი საქმის მწარმოებელი ლევან ვასილის ძე ბასიშვილი, ივანე ნიკოლოზის ძე ზაზაძე და ვლადიმერ მიხეილის ძე ყანჩელი ბუჰჰალტრის თანაშემწეებად პირველი ორი 1 ღვინობისთვიდან 1919 წ. ხოლო მესამე 16 თებერვლიდან 1920 წ.

№ 8.

**დაინიშნენ:** 1 მარტიდან 1920 წ. 1) დავითაშვილი ზაქარია ალექსის ძე საქმის მწარმოებლად, 2) აბესაძე სვიმონ ელეფთერის ძე საქმის მწარმოებლის თანაშემწედ, 3) არხანგელსკი ოლღა ალექსის ასული და 4) რომელაშვილი ელენე გიორგის ასული—ორივე მანქანაზე გადამწერად, 5) ღთისავრიშვილი თამარა კირილეს ასული, 6) ღამბაშიძე ნინო ქსენოფონტის ასული და 7) შაპოშნიკოვისა ნინო ალექსანდრეს ასული—სამივე რეგისტრატორებად, 8) ჯაფარიძე ვლადიმერ სვიმონის ძე და 9) ნაცვლიშვილი კონსტანტინე იობის ძე ორივე ბუჰჰალტრის თანაშემწეებად.

საქციზო სამმართველოს უფროსი
ბ. გვერდწითელი.

№ 14.

**დაინიშნენ:** თამბაქოს ქარხნის კონტროლიორებად ტფილისში თიბათვის 1-ნ 1920 წლისა: 1) დავით იოსების ძე ხარაძე და 2) პეტრე მიხეილის ძე აშეხმანოვი.

№ 15.

**დაინიშნენ:** სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის რეგისტრატორებად 1920 წ. თიბათვის 1-ნ: 1) ივანე ლუკას ძე რატიანი და 2) კალინა პავლეს ასული მაჭავარიანისა.

№ 16.

**დათხოვნილია:** თანახმად თხოვნისა, 1920 წლის მაისის 31-ნ ნავთის ნაწარმოების შემოწმებელი კამერის მოანგარიშე ილია გიორგის ძე ფალიანი.

საქციზო სამმართველოს უფროსის
თანამდებ. აღმასრულებ. ს. ბაკრაძე.

—

**გზათა დეპარტამენტის უფროსისა დაწესებულებისადმი.**

ცნობად და სახელმძღვანელოდ გეცხადებათ რომ ჩემი ტფილისიდან წასვლის ან ავადმყოფობის დროს პირველ მოადგილეთ ითვლება სახაზინო რკინის გზების უფროსი ინჟენერი ალექსანდრე გიორგის ძე კანდელაკი, ხოლო მეორე მოადგილეთ ინსპექტორი დეპარტამენტთან ინჟენერი ნიკოლოზ ლევანის ძე გვარამაძე.

გზათა დეპარტ. დირექტ. ჭიჭინაძე.

—

**ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა**

21 აპრილი, 1920 წ., № 22.

**გამწესებულნი არიან:** ყოფილი მოხელეები: ალექსანდრე მიმინოშვილი, ალექსანდრე კარტოზია და მოქალაქე ნინო წერეთელი მეექვსე ხარისხის მოხელეებათ: მიმინოშვილი და კარტოზია—სოხუმში, წერეთელი—ეკატერინოფელდში; ყოფილი ფოსტალიონები: გრიგოლ ვაშაკიძე და აკაკი ბუკია მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ: ვაშაკიძე—სურამში, ბუკია—გორში,—მიმინოშვილი, კარტოზია და წერეთელი 21 აპრილიდან, ვაშაკიძე და ბუკია 24 აპრილიდან 1920 წელს.

**დანიშნულ არიან:** მეექვსე ხარისხის მო-

ხელეები: ხაშურის—ვასილ შუბიტიძე, ახალციხის—სიმონ ყარსელოვი, იმავე კანტორების მოხელეებათ—შუბიტიძე მეხუთე ხარისხით 26 აპრილიდან, ყარსელოვი მეოთხე ხარისხით პირველ მაისიდან.

**გადაყვანილნი არიან:** რკინის გზის განყოფილების მოხელე თედორე კობალაძე და ფოსტალიონი მიხეილ ბეჟიტაშვილი, ტფილისის ტელეგრაფის მეხუთე ხარისხის იოსებ ჯანიაშვილი, მეხუთე—სამოქალაქო განყოფილების მეორე ხარ. ნიკოლოზ მოზდოკელი, მესამე სამოქალაქო ვანყ. მეხუთე ხარ. ნინო გელიტაშვილი, ერევნის მესამე ხარ.—სტეფანე აბოვიანცი, ბათომის პირველი ხარ. ალექსანდრე ავალოვი, ქუთაისის მეოთხე ხარისხ. ივანე კურცხალია, სოხუმის მეექვსე ხარ. მიხეილ ძნელაძე, რკინის გზის განყ. ანდრია ჯიბლაძე იმავე წოდებებით: კობალაძე, ბეჟიტაშვილი, ჯიბლაძე, მოზდოკელი და გელიტაშვილი ტფილისის ტელეგრაფში, ჯანიაშვილი მესამე განყოფილებაში, აბოვიანცი—გორში, ავალოვი და ძნელაძე ქუთაისში, კურცხალია—რკინის გზის განყოფილებაში; მოზდოკელი პირველ მაისიდან, აბოვიანცი, ავალოვი 1 იანვრიდან, გელიტაშვილი და ჯანიაშვილი 22 აპრილიდან, დანარჩენნი ხუთნი 21 აპრილიდან, ხოლო გელიტაშვილი და კურცხალია თანახმად თხოვნისა.

**დათხოვნილია სამსახურიდან:** ფოსტალიონი გორის კანტორისა ილარიონ ხურცია 11 აპრილიდან 1920 წელსა.

**გამოცხადებულია მოხსამსახურეთა სიებიდან:** სამტრედიის ფოსტალიონი კონსტანტინე კუპრაძე ოთხი თვის განმავლობაში საშსახურში გამოუცხადებლობის გამო 1919 წლის პირველ აპრილიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

**3 ივნისის სხდომა.**

დაესწრენ: ბ. ნ. ჟორდანია, ერაძე, ხომერიკი, რამიშვილი, გეგეჭკორი, არსენიძე, ანდრონიკაშვილი, ავალიანი, გედევანიშვილი, ქარცივაძე, ცინცაძე, ბახტაძე, ჰავჰანიძე ნ. ჭიჭინაძე, ალშიბაია, გ. ჟორდანია, ბ. ჭიჭინაძე. მდივანი დ. ლომთაძე.

**სასოფლო-სამეურნე სკოლების ორგანიზაციებისათვის.**

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება საშუალო და დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლების ორგანიზაციის შესახებ წინასწარ განსახილავად გადაეცეს კომისიას მიწათ-მოქმედების სამინისტროს ორი წარმომადგენელისა და განათლების სამინისტროს ერთი წარმომადგენელის შემადგენლობით. კომისიამ თავისი მოსაზრებანი წარმოუდგინოს მთავრობას ერთი კვირის განმავლობაში.

**ავანსის გაცემა.**

მიწათ მოქმედების სამინისტროს გაუნაღდებელი ასიგნობებით (№№ 4165, 4355, 4596 და 4660) გაიცეს ამავე სამინისტროს განკარგულებაში ავანსათ 410,255 მან. და 34 კაპ.

**ზარალის ასანაზღაურებლად თანხის გაღება.**

გადაიდოს ფოსტა-ტელეგრაფის სამართველოს უფროსის განკარგულებაში 12,644 მან. 80 კაპ. ათ-მილიონიან ფონდიდან ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთათვის მოხალისეთა მიერ გემი „ჭოროხის“ გადაცემის დროს მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად.

**ასიგნობებით ფულის განაღდება.**

ნება მიეცეს ფინანსთა მინისტრს გაანაღდოს ამა ივნისის განმავლობაში ყველა ასიგნობები, რომელიც შემოსულია ხაზინებში—სახელმწიფო კონტროლის სათანადო გრიფით—მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე.

**საკონცესიო ხელშეკრულების დამტკიცება.**

დამტკიცდეს ეკონომიური კომისიის მიერ მოწონებული პროექტი გიზოსთან დასადებ საკონცესიო ხელშეკრულებისა.

**სადარაჯო ათასეულისათვის სრული კმაყოფის სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილებიდან.**

დაევალოს სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილებას მოთხოვნილების მიხედვით აძლიოს საპყრობილეთა სადარაჯო ათასეულს სრული კმაყოფა როგორც ნივთებით, ისე სურსათით (ჯარის-კაცისა და ოფიცრის ნორმების მიხედვით). მიღებულ ნივთებისა და სურსათის საფასურს სამნეო განყოფილებას აუნაზღაურებს იუსტიციის სამინისტრო.

# მიწათ-მოქმედების სამინისტრო

**სათიბ ადგილების იჯარით გაცემა.**

მიწათ-მოქმ. სამინისტროს საიჯარო განყოფილ. გაუგზავნა ცირკულიარული განკარგ. ყველა ერობათა საადგილ-მამულო განყოფილებებს და ფონდის გამგეებს რომ მათ მიმდინარე წელს ზოგიერთ სათიბი ადგილების სარგებლობაში მოიჯარადრეებს გადახდეთ ნატურის ნაცვლად მისი საფასური ფულად არა ნაკლებ 300 მან. თითო დესეტინაზე, ხოლო დანარჩენი სათიბი ადგილები კი უნდა გაიცეს $^1/_2$—$^1/_3$ მოსავალისა ნატურით, თანახმად 17 თებერვლის 1920 წ. № 537, ცირკულიარისა. ყველა სათიბი ადგილები სამინისტროს თანახმად გაიცემა იჯარით და ყველა მოიჯარადრეებთან უნდა დაიდოს ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში მოთავსებული იქნება მუხლი, რომლის ძალით მთავრობას ნება ექნება, თუ მოისურვებს, ნატურის მაგიერ მიიღოს საფასურათ ფულად ადგილობრივ მაზრის ფასის მიხედვით. საადგილ-მამულო განყოფილების გამგენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული თუ მაზრაში მდებარე სათიბი ადგილები არ გაიცემა მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოთხოვნის წესით.

# სამხედრო ცნობა

**ტფილისი, ივნისის 8.**

როკის მიმართულებით ოსების ბანდებმა რომელნიც საკმაოდ გაძლიერდენ ჩრდილო-კავკასიიდან მოსული დამხმარე ძალებით ჩვენი მოწინავე ნაწილების წინააღმდეგ აქტიური მოქმედება დაიწყეს. გოდერძის უღელტეხილის რაიონში ჩვენი მზვერავთა მოქმედება სწარმოებს. სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

# უკრაინის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ნოტა

**ტფილისი საქართველოს სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს.**

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო დამოკიდებულობის აღდგენის გამო უკრაინის სოციალისტური საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ მისსა და საქართველოს სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის ნორმალურ დამოკიდებულობის დამყარება ორივე ქვეყნის ხალხის ინტერესებისათვის ფრიად სასურველი იქნება. თუმცა აქამდის საბჭოთა უკრაინასა და საქართველოს შორის ოფიციალური დამოკიდებულობა არ არსებობდა, მაგრამ მუშათა და გლეხთა მთავრობა მფარველობაზე უარს არ ეუბნებოდა ქართველ მოქალაქეებს. მან სამშობლოში დაბრუნების ნება დართო ექვს ქართველ ექიმს, რომელთაც ხარკოვის საექიმო ფაკულტეტი დაასრულეს და აგრეთვე საქმიან დამოკიდებულობას განაგრძობდა უკრაინაში მყოფ საქართველოს ყოფილ კონსულებთან. მიუხედავათ ამისა ჩვენდა სამწუხაროთ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა საჭიროდ არ ჩასთვლის მოაწესრიგოს უკრაინასთან თავისი დამოკიდებულება და ამ მიზნით საჭირო საზავო მოლაპარაკებას არ დაიწყებს. ვფიქრობ, რა რომ ორივე ეკონომიურ ინტერესებით შეკავშირებულ სახელმწიფოს შორის მეგობრულ დამოკიდებულობის აღდგენის წინააღმდეგ არავითარი სერიოზული მიზეზი არ იქნება საქართველოს მთავრობის მხრივ წამოყენებული. უკრაინის მუშათა და გლეხთა მთავრობის სახელით წინადადებას ვაძლევ საქართველოს მთავრობას საზავო მოსალაპარაკებლად თავისი დელეგატი დაასახელოს. საზავო მოლაპარაკების ადგილათ უკრაინის მთავრობა ასახელებს ქ. ხარკოვს № 421, 28 მაისი 1920 წ. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი რაკოვსკი.

# პურის პრიზისის გამო

ამ ბოლო ხანებში ტფილისში შენიშნულ პურის ფასის გაძვირების გამო, მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ი. ჭავჭანიძემ, საქ. დეპუ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მთავრობის დაწესებულებანი იღებენ საჭირო ზომებს მოსპონ დაბრკოლებანი მცხოვრებთათვის პურის მიწოდების საქმეში. შენიშნული დაბრკოლებანი აიხსნება იმით, რომ დასავლეთ საქართველოში გვალვები იყო, და აგრეთვე მით რომ კახეთი დაზარალდა სეტყვით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სთხოვა მომარაგების სამინისტროს მისცეს მას 60,000 ფუთი პური პროვინციის მცხოვრებთა საჭიროებისათვის, ასეთ რაოდენობას ითხოვს იგი ტფილისის მცხოვრებთა საჭიროებისათვის. იტალიიდან მოველით პურის დიდ პარტიას, რაც მომარაგების სამინისტროს მისცემს საშუალებას გაუწიოს მცხოვრებთ ფართო დახმარება პურის მიწოდებით. ამავე დროს, რომ მცხოვრებლებს დროზე მოაწოდოს პური, მომარაგების სამინისტრო საქართველოსთან ახლო მდებარე ადგილებში 500,000 ფუთ პურს ამზადებს. ტფილისის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილების გამგემ პანიევმა საქარ. დეპ. სააგ. წარმომადგენელის შეკითხვაზე თუ რამ გამოიწვია პურის ფასის აწევა განაცხადა, რომ ერთი მიზეზთაგანი პურის გაძვირებისა არის სპეკულიაცია. ფქვილის მეპატრონეებს სურდათ გამოეყენებიათ უკანასკნელი შექმნილი მდგომარეობა, რის გამოც რასაკვირველია სოფლიდან პურის ჩამოტანა საგრძნობლად გაძნელდა. გარდა ამისა უარყოფითი გავლენა იქონია აგრეთვე სეტყვამ, რომელმაც ძლიერ დააზიანა პურის მოსავალი. მოუსავლობის შიში აიძულებს გლეხებს ჯერ-ჯერობით შეინახონ ზედმეტი პური. ამ ჟამად მიღებულია ყველა ზომები თავისუფალ ვაჭრობაში პურის ფასის მოსაწესრიგებლად.

სხვა ზომათა შორის აღსანიშნავია ქალაქის პურის ბირჟის მოწყობა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, პურის კანტორის მოწყობა, რომლის უმთავრეს მიზანს შეადგენს პურის საქმის ისეთი ორგანიზაცია, როდესაც პური აცდება შუამავალთა ხელს და უშუამავლოდ, პირდაპირ გადავა პურის მცხობელთა ხელში, შუამავალთა მოსპობა იმოქმედებს პურის გაიაფებაზე, ბირჟის შემადგენლობა მოეწყობა პარიტეტულ საფუძველზე—სასურსათო განყოფილებიდან და პურის მცხობელთა საზოგადოებიდან. ბირჟის ხელქვეით იქნება პურის ხორბლის და ფქვილის ყიდვა—გაყიდვის—მოწყობა ტფილისში. ეს გეგმა შემუშავებულია პურის მცხობელთა საზოგადოებასთან შეთანხმებით, რომელიც თვით იყო დამოკიდებული ამდენხანს შუამავლებიდან. ბირჟა ალბათ, ამა კვირაშივე გაიხსნება. დაწესებული იქნება თავისუფალი ფასები. ახალი ორგანოს არსებობა უსათუოდ ამ დღეებშივე მოახდენს გავლენას პურის ფასის დაწევაზე.

შაბათს, 5 მაისს დაბრუნდა კახეთიდან სამსახურის გამო გამგზავრებული მომარაგების სამინისტროს სასურსათო განყოფილების დირექტორი, რომელმაც დაიარა მოსავლიანი რაიონები იმის გასაცნობად თუ როგორი პირი უჭანს მოსავალს. მიღებულ ცნობების თანახმად საერთოდ კახეთში მოსავალს კარგი პირი უჭანს. მართალია დათესილ ყანების ნაწილი დაიღუპა სეტყვით, მაგრამ წელს კახეთში მეტი მიწა იყო დათესილი ვიდრე შარშან, ამიტომ მიუხედავათ პატარა მოუსავლობისა წელს საერთოდ მოსავალი მაინც გადააჭარბებს შარშანდელს. პირველად გლეხებმა დაიწყეს პურის გადამალვა, მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, რომ მოსავალი კარგი იქნებაო, ისევ გამოუშვეს პური ბაზარზე. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ახლო დღეებში ისევ გაძლიერდება ტფილისში პურის შემოტანა.

# საქართველო და ადერბეიჯანი

**(ადერბეიჯანის საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელის გ. ალშიბაიას განცხადება).**

7 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ადერბეიჯანში გ. ა. ალშიბაია, რომელმაც საქართველოს დეპ. სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს აცნობა მას იმ ძალადობაზე, რომელიც განიცადა მან საქართველოს დიპლომატიური მისიის სხვა წევრებთან ერთად ადერბეიჯანში მომხდარ გადატრიალების დროს.

იმ ძალადობის შესახებ, სთქვა ალშიბაიამ, რომელიც განიცადეს ჩემთან ერთად საქართველოს მისიის სხვა წევრებმა, მე თავის დროზე კიდევ 30 მაისს ვაცნობე ტელეგრაფით საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრს ბ-ნ ევგ. გეგეჭკორს. დამპირდენ რომ ჩემს დეპეშას რადიოთი გადმოგზავნიდენ. დეპეშაში მე ვიტყობინებოდი, რომ იმ დროს, როდესაც მე ვიმყოფებოდი ყარაბახში, როგორც წევრი ამიერ-კავკასიის კონფერენციის საერთაშორისო კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა საომარ მოქმედების შეჩერება მუსულმანებსა და სომხებს შორის, 29 აპრილს მე შევიტყვე ბაქოში მომხდარ გადატრიალების შესახებ და აგრეთვე ისიც, რომ საბჭოთა ჯარები მიიწევიან საქართველოს საზღვრებისაკენო. 29 აპრილსავე ბარდიდან მე გავგზავნე დეპეშა გარეშე საქმეთა კომისრის სახელზე პროტესტით იმის გამო, რომ მათი ჯარი საქართველოს საზღვრებისაკენ იწევდა. და ვსთხოვდი საშუალების აღმოჩენას ბაქოსთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო, რათა საჩქაროთ ჩავსულიყავი იქ და დამეწყო მოლაპარაკება, რომ ამეცილებინა სისხლის ღვრა. ჩემ წინადადებაზე მე არავითარი პასუხი არ მიმიღია. 2 მაისს, სამ საათზე მე მოვახერხე ბაქოში ჩასვლა. 5 საათზე მე დამიჭირეს და გაჩხრეკის და ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტების ჩამორთმევის შემდეგ დამამწყვდიეს ციხეში განსაკუთრებულ კომისიასთან. ამ რიგად ჩემი წინადადება მოლაპარაკების გამართვის შესახებ, რომ აგვეცილებინა სისხლის ღვრა, უკუგდებულ იქნა. 28 აპრილს დაიჭირეს მისიის პირველი მდივანი დგებუაძე და სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ნაცვალოვი, რომლებიც დაამწყვდიეს ციხეში. 12 მაისს დაიჭირეს და დაამწყვდიეს ციხეში საგანგებო კომისიასთან მყოფი აფხაზეთის საიმფორმაციო ბიუროს წარმომადგენელი.

ჩვენ გვინახავდენ გამოუთქმელ მძიმე პირობებში. მისიის პირველი მდივანი დგებუაძე, რომელიც დამწყვდეული იყო ბაილოვის საპყრობილეში უხეში ძალით აიძულეს ბაქოს ქუჩები ეწმინდა, რის შესახებაც გაგებისთანავე მე გაუგზავნე პროტესტი ციხიდან გარეშე საქმეთა კომისარს.. 29 მაისს 3 საათზე მთელი ჩვენი მისსია გაანთავისუფლეს ტყვეობიდან. 30 მაისს ვინახულე კომისარი ჰუსეინოვი და პირადათ განუცხადე სასტიკი პროტესტი საერთაშორისო დამოკიდებულებათა ისტორიაში გაუგონელ მოპყრობის გამო, რომელიც გამოიხატა მისიის დატყვევებაში და მის პირველ მდივანზე დგებუაძეზე საოცარ დაცინვაში. შემდეგ ალშიბაიამ განაცხადა, რომ 29 აპრილს, როდესაც იგი იმყოფებოდა შუშაში პირველად გაიგო ბაქოში მომხდარ გადატრიალების ამბავი, და იმ დღესვე დააპირა შუშიდან საჩქაროთ გამგზავრება. შემდეგ მან გაიგო რომ საქართველოს მისია დაჭერილ იქნა ბაქოში 28 აპრილს წითელ არმიელების მიერ. მასთან ერთად მისიის ბინა დალუქეს. საქართველოს მისიასთან ერთად დაიჭირეს ინგლისის, საფრანგეთის და სომხეთის მისიები. პირველად ყველა 4 მისია ერთად იყო დამწყვდეული, შაგრამ შემდეგ განაცალკევეს. საქართველოს მისია საქართველოსთან დროებითი ზავის ჩამოგდების გამო გაანთავისუფლეს 29 მაისს.

# ახალი ამბები

◆ **სამხატვრო თეატრის არტისტები მუშათა კლუბში.** სახალხო უნივერსიტეტთან არსებულმა დრამატიულმა წრემ მიმართა სამხატვრო თეატრის არტისტებს თხოვნით, დადგან რაიმე წარმოდგენა მუშათა კლუბის სცენაზე. სამხატვრო თეატრის არტისტებმა გაავგზავნეს პ. ფ. შაროვი, რომლის ხელმძღვანელობითაც მუშათა კლუბში დაიდგმება გეირმანნის პიესა „იმედის დაღუპვა“. ეს პიესა დადგმული იქნება ივნისის შუა რიცხვებში.

◆ **საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება.** უკანასკნელ ხანებში მთავრობის ინიციატივით სწარმოებს საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების რეორგანიზაცია. აქციონერთა საერთო კრებამ დაადგინა შეიტანოს საგრძნობი ცვლილებანი საზოგადოების წესდებაში. მთელი გამწესრიგებლობითი უფლება გადავიდა გაწესრიგებამდის დირექტორის ხელში, გამგეობას კი ევალება კანტროლის და მეთვალყურეობითი ფუნქციები. განზრახულია შეიტანონ ცვლილება გამგეობის შემადგენლობაში, რომელშიც შედიან მთავრობის წარმომადგენელნიც.

◆ **ხალიჩების შეხყიდვა.** მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილების მიერ შესყიდულია ხალიჩები. ლონდონში გასაგზავნად განზრახულია მოაწყონ დიდ მასშტაბში გაგრის ცხვრის, თხის და ბატკნის ტყავის და ხალიჩების შესყიდვა.

◆ **სიღნაღის ერობის შუამდგომლობა.** სამაზრო ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, რათა მიეცეს მას ასს მილიონ ფონდიდან სესხის ანგარიშში ავანსად სამი მილიონი მანეთი, ვინაიდან მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება დამოკიდებულია სამაზრო ხმოსანთა ყრილობაზე, რომელიც შესდგება არა ადრე პირველ ივლისისა; სიღნაღის მაზრა იმყოფება განსა-

კუთრებულ პირობებში, რის გამოც ერობის საქმიანობა გაასკეცებულია და მოითხოვს აუარებელ ხარჯებს.

**ხახალხო განათლება.** ბათომის ოლქის ქართველ მუსულმანების საქველმოქმედო საზოგადოებამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე ორ მილიონ ნახევარ მანეთით დახმარების შესახებ ხუცუბანის, წყავროკისა და სხვა სკოლათა შესანახად.

**ერობათა საქმეები.** ლეჩხუმის ერობამ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით მიეცეს მას 6 მილ. სესხი 100 მილიონ ფონდიდან, რომელიც იმყოფება მთავრობის განკარგულებაში.

**დახმარება სურსათ ხ.ნოვაგით.** ქუთაისის სამაზრო, გორის, სენაკის, შორაპანის და ბორჩალოს ერობებმა და აგრეთვე ქალაქ. ქუთაისმა და ხონმა მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით დაეთმოთ მათ იაფ ფასებში ის ხორბალი, რომელიც მიღებულია იტალიიდან.

**სომხები საქართველოს ტერიტორიაზე.** ტფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა თელავის, სიღნაღის და ზაქათალის ერობებს განსაკუთრებულ განკარგულების გამოცემამდე დასტოვონ საქართველოს ტერიტორიაზე ზაქათალში მცხვრებნი სომხები.

**მანუფაქტურა მცხოვრებთათვის.** სპარსეთ-კავკასიის საზოგადოების მიერ მიღებულია 40 მილ. მან. მეტი ღირებულების მანუფაქტურა. ამ საქონელის გაყიდვას დაიწყებენ კოოპერატივების საშუალებით.

**ელექტრონის ლამფები.** იტალეთ-კავკასიის ტფილისის ბანკის მიერ მიღებულია ელექტრონის ლამფების დიდი პარტია მთავრობის საჭიროებისათვის.

**კრედიტი ერობათა კავშირს.** იტალეთ-კავკასიის ბანკმა ერობათა კავშირს და ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას გაუხსნა კრედიტი რამოდენიმე მილიონ მანეთად ღირებულ საქონლით.

**სახელმწიფო მოსამსახურეთა უზრუნველყოფა.** მთავრობამ გადასწყვიტა კოჯორის სახელმწიფო აგარაკი არავის არ მისცეს იჯარით და დატოვოს იგი მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში, შეღავათიან ფასებში სახელმწიფო მოსამსახურეთათვის გადასაცემად. აგარაკების გაცემის პირობების შესასწავლად შედგენილია განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისია; ამასთანავე გადაწყვეტილია აგარაკების მოსამსახურეებზე გაცემით დაფარონ დაახლოვებით შენობების შესაკეთებლად და შესანახად გაწვეული ნახევარი ხარჯები. სამინისტრო უკვე შეუდგა აგარაკების შეკეთებას. ამასთანავე განზრახულია ამ მოკლე ხანში მოაწყონ ელექტრონის სადგური.

**აზერბეიჯანის საზავო დელეგაცია.** გარეშე საქმეთა სამინისტროში მიღებულია ცნობები აზერბეიჯანის იმ მისიის შემადგენლობის შესახებ, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს რესპუბლიკასთან. დელეგაციის შემადგენლობაში აზერბეიჯანის მხრით შედიან: სულთანოვი, მეჯიდ ეფენდიევი, რომელიც აღჭურვილია უფლებით აზერბეიჯანის მთავრობის მიერ მოაწეროს ხელი საზავო ხელშეკრულებაზე და დელეგაციის წევრები პლევშაკოვი, ბესარიონ ლომინაძე და მრჩეველები პროფესორი ტიმოფეევი და საადი.

**საფრანგეთის ოფიცრების ჩამოსვლა ტფილისში.** ტფალისში ჩამოვიდა საფრანგეთის ოფიცერთა ერთი ჯგუფი ქალაქის დათვალიერების მიზნით. გუშინ ფრანგებმა ინახულეს საფრანგეთის მისია.

**აკრძალული ხაქონელი.** სავაჭრო-სამრეწველო პალატას ატყობინებენ, რომ ახლო მომავალში მოელიან იმ საქონლის სიის გადასინჯვას, რომელთა შემოტანა და ავრეთვე გატანა აკრძალულია, ამავე დროს გადასინჯული იქნება იმ საქონელთა სია, რომელთა გატანა და შემოტანა ნახევრათ ნება-დართული იქნება ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი შეუდგა იმ ზარალის გამორკვევას, რომელიც გამოიწვია უკანასკნელმა წვიმებმა და სეტყვამ. სტატისტიკურ კომიტეტის წევრნი გაემგზავრნენ სიღნაღის და თელავის მაზრებში, ადგილობრივ მოახდინონ ამ საკითხის გამორკვევა, თუ თვით ერობები არ მოკიდებენ ხელს ამ საქმეს; შემდეგ კომიტეტი შეუდგება ტფილისის სხვა მაზრების შესწავლას. ამ ჟამად კომიტეტი უკვე შეუდგა შესწავლის პროგრამის შედგენას.

**საბჭოთა წარმომადგენლობა ხაქართველოში.** ტფილისში მოსულ ცნობების მიხედვით მოსკოვიდან უკვე გამოსულა საბჭოთა მისია, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა რუსეთს საქართველოში. მისია შესდგება 30 კაცისაგან. ტფილისში მისიას მოელიან მიმდინარე კვირაში.

**ერობის ბანკი.** ტფილისის სამაზრო ერობამ დაადგინა მიიღოს ერობათა კავშირის წინადადება გადასდოს ბანკის დასაარსებლად 10% იმ თანხიდან, რომელსაც იგი მიიღებს მთავრობისაგან სესხის სახით. გადაწყვეტილია ამის გამო მიმართონ შესაფერი განცხადებით შინაგან საქმეთა დმ ფინანსთა სამინისტროს.

ტფილისის სამაზრო ერობამ პრინციპიალურად მიიღო გადაწყვეტილება მიეცეს თემს 20% იმ 3 მილიონიან სესხისაგან, რომელსაც იღებს იგი მთავრობისაგან.

**შრომის პირობების გაუმჯობესება.** „ჩემოს“ ადმინისტრაციის წარმომადგენელმა შრომის მინ. ამხანაგის წინადადებას ფოთში მარგანეცის გადამზიდველ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ უპასუხა, რომ ადმინისტრაცია მზად არის დაუყონებლივ შეუდგეს შრომის სამინისტროს მიერ აღნიშნულ საჭირო გაუმჯობესებათ, ე. ი. გახსნას აბანოები, ააშენოს ბარაკები, შეაკეთოს ფოთის მუშათა სახლი, გაადიდოს თანხა გადამზიდველთა სამკურნალოდ და დასახმარებლად, და ბოლოს გაუმჯობესოს შრომის ტეხნიკური პირობები.

**მარგანეცის გატანა.** 4 ივნისს ტფილისიდან ფოთს გაემგზავრა შრომის მინისტრის ამხანაგი ა. მ. ბახტაძე და გზათა დეპარტამენტის დირექტორი. ბახტაძე ფოთის ნავთსადგურში მყოფ უცხოელთა გემების მარგანეცით დატვირთვის დასაჩქარებლად ზომების მიღებას ფიქრობს, ამასთანავე მას სურს გაიცნოს მუშაობის მიმდინარეობა ფოთის მუშათა მომარაგების ორგანიზაციის საკითხში.

**შრომის სამინისტრო და ამერიკის კომიტეტი.** შრომის სამინისტრომ შეატყობინა ახლო აღმოსავლეთში ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელს, რომ სამინისტროში შემოვიდა საჩივრები მატარებელზე მოსამსახურეთა, სადაც ისინი სჩივიან, რომ კომიტეტმა დაითხოვა რა მოსამსახურეები, მათ სათანადო სალიკვიდაციო ჯილდო არ მისცაო. ამერიკის კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, მან არ იცის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა ამ დარგში და სურვილი გამოსთქვა დაიკმაყოფილოს სამსახურიდან დათხოვნილი შრომის სამინისტროს ჩვენებით. შრომის სამინისტროს კომიტეტის წარმომადგენელი გააცნობს საქართველოში არსებულ შრომის დაცვის კანონებს.

# ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

### ქალაქის საავადმყოფო კასა.

ქალაქის საავადმყოფო კასის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) მიეცეს დახმარება მშობიარეთ, რომელიც უნდა უდრიდეს სამუშაო ქირის რაოდენობას; 2) მუშებს, რომელნიც გახდებიან ავათ რომელიმე ავადმყოფობით მიეცეს დახმარება ნახევარი თვის ჯამაგირის რაოდენობით; 3) იქნეს მოწვეული 20 ივნისს კასაში მონაწილეთა საერთო კრება მშენებელ მუშების კავშირში. კავშირში ჩაწერილია 300 უმუშევარი; ვინაიდან არ არსებობს არავითარი საშუალებანი უმუშევართ არ ეძლევათ არავითარი დახმარება. ერთდროული დახმარება ეძლევათ მხოლოდ ავადმყოფთ და დასახიჩრებულ წევრებს. უმუშევართა ფონდის მოსაწყობათ გადაწყვეტილია მოკლე ხანში მოეწყოს საქველმოქმედო სპექტაკლი.

### თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა შორის.

ქალ. ტფილისის თამბაქოს ქარხნებში მუშების პროფესიონალურ კავშირის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა მიეცეს გზა „ბანვორიძან“ თანხის გასაძლიერებლად, 5000 მან. შემდეგ გამგეობამ განიხილა საკითხი დამზარ „მეირეის“ ქარხნის უმუშევართათვის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გადაწყვეტილ იქნა 20 ათასი მან. გადადება. ეს თანხა განაწილდება უმუშევართა შორის შემდეგი წესით: მარტოხელს მიეცემა 250 მან., ოჯახიან წევრებს 150 მან. სულზე. დასასრულ განხილულ იქნა საკითხი წევრთა მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ და დადგენილ იქნა მიმართონ წინადადებით ფაბრიკანტთა საზოგადოების სათამბაქო სექციაში, შეწყვეტილ იქნეს მუშების ხელფასიდან ავანსების გამორიცხვა, სანამ განხილული იქნება ეს საკითხი შეთანხმებულ კომისიის მიერ.

### აფთიაქებში მოსამსახურეთა მოთხოვნა.

აფთიაქებში მოსამსახურეთა კავშირმა დაადგინა მისცეს წინადადება აფთიაქის მეპატრონეთ ათასი მან. მომარაგებ ს ფონდში შეტანის შესახებ, ვინაიდან ზოგიერთ აფთიაქის მოსამსახურენი აღარ იღებენ პურს. თუ ვინიცობაა აფთიაქის მეპატრონენი არ შეიტანენ მომარაგების ფონდში საჭირო თანხას, განზრახულია გამოუქვითონ მათ პურის ფასის განსხვავება.

### მბეჭდავთა შორის.

მბეჭდავ მუშათა კავშირში შენიშნულია, რომ უმუშევრობა ასოთ-ამწყობთა შორის მოსპობილია. უმუშევარნი არსებობენ მხოლოდ კასის გადამრჩენელი და არა კვალიფიციური მუშათა შორის. უმუშევარ წევრებს ეძლევათ ყოველდღიური დახმარება.

### რესტორანებში მოსამსახურეთა შორის.

რესტორანებში, კლუბებში და სასტუმროებში მოსამსახურეთა კავშირში ჩანიშნულია 227 უმუშევარი. ვინაიდან საკანდიტეროებში 7 საათზე დახურვის გამო უმუშევართა რიცხვმა იმატა, კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა მიმართოს ქალაქის თვითმმართველობას შუამდგომლობით მიეცეს უფლება საკანდიტეროებს 11 საათამდე ვაჭრობის უფლება. ამასთანავე გადაწყვეტილია ეთხოვოს პროფესიონალურ კავშირთა გამგეობას, რათა მან თავის მხრით დაუჭიროს მხარი მათ მოთხოვნილებას კლუბებში 1-ლ საათამდე და რესტორანებში 12 საათამდე მუშაობის განგრძობის შესახებ.

# ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

### მაინც ცდილობენ...

მთელი ბათომის ოლქი, რამოდენიმე პირთა გამოკლებით, მოუთმენლად მოელის თავის დედა სამშობლო საქართველოსთან გაერთიანებას. ბათომის ოლქის მცხოვრებთა მეტად დიდი უმეტესობა, არა ნაკლებ 95%-სა, ქართველ მუსლიმანებისაგან შესდგება. ბათომის ოლქის აქართველოს განუყრელი და განუყოფელი ნაწილია. ეს იცის ყველამ, იცის მტერმა და მოყვარემაც. ამას ვერ უარჰყოფს ვერავინ, მარა მაინც სცდილობენ ჩვენი მტრები, ჩვენი ქვეყნის დამონავების მსურველები, რომ ბათომის ოლქი მოსწყდეს დედა სამშობლო საქართველოს და მით ის გადაიქცეს უცხოთა საჯიჯგნად, უცხოთა კაპიტალის სათარეშო მოედნათ.

### მიზანს მაინც ვერ მიაღწევენ

ქობულეთის და ჭვანის ზოგიერთ მცხოვრებთა მოსყიდვა არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ბათომის ოლქის მცხოვრებლები ასეთივე მოსყიდულები იყვნენ და რაგვარი ოსტატობითაც არ სცდილობდენ საქართველოს მტრები საქართველოს დაჩაგვრას, თავის მიზანს ისინი ვერ მიაღწევენ. ბათომი და ბათომის ოლქი, როგორც ნაწილი საქართველოსი, გადაეცემა საქართველოს. ქობულეთის და ჭვანის ისტორია ვერ შესძლებს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების ფეხქვეშ გათელვას. ყაჩაღ პაიჭაძისა და სხვა ყაჩაღების თარეში საქართველოს ვერაფერს დააკლებს. და თუ ვინმე ფიქრობს, რომ პაიჭაძეების მეოხებით, პაიჭაძეების დაქირავებით საქართველოს ბათომის ოლქს და ქალაქ ბათომს ჩამოაშორებს, ის ძლიერ სცდება.

### „ხედა მილეთელები“ დაფიქრდნენ.

სოფელ ჭვანაში ქართველ ჯართან ბრძოლების შეტაკების შემდეგ ადგილობრივი „სედაი მილეთლები“ ძლიერ დააფიქრა. შეუდგნენ ბათომშიაც ბრბოების შეგროვებას და ფრონტზე გაგზავნას. ამ ბოლო დროს მომხრეები თანდათან სცილდებიან ტ რომ მდგომარეობა გამოასწორონ და აუცილებელი დამარცხება დროებით მაინც თავიდან აიშორონ, შეუდგნენ ყალბი ცნობების გავრცელებას.

# ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲔᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲚ

თელავის მაზრის ერობამ შემდეგი მიმართვა გაუგზავნა ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს:

მიმდინარე წლის, მაისის 23-ს ნაფარეულის რაიონში მოვიდა სეტყვა, რომელმაც გაანადგურა მთელი ნათესები, ხეხილის ბაღები და ვენახები შემდეგ სოფლებში: ნაფარეულში, შაქრიანში, ფშაველში, საწიორეში, ლალისყურში, ნიკოლაევკაში, ფიჩხოვანის, ბაბანეურის და ართაანის ბოლოებში. მეორე დღესვე ერობის გამგეობის მიერ გაგზავნილი იყო აგრონომიული კომისია ადგილობრივ დასათვალიერებლად და ზარალის რაოდენობის გამოსარკვევათ. კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მდგომარეობა ყოველ მხრივ უნუგეშოა, ყველგან სურათია ზამთრის თვეებისა. ვაზებს არა აქვს ფოთლები, ნათესობა განადგურებულია იმ ზომამდის, რომ ამ წელს არავითარი მოსავლის იმედი არ არის, ზოგან დასათიბათაც კი არ ვარგა. საჭიროა მოიხნას ხელ ახლად და სარწყავ ადგილებში დაითესოს სიმინდი.

ვენახები არამც თუ წელს, მომავალი წლისთვისაც განადგურებულია, სწორედ ამ რაიონში ერობის გამგეობის მიერ დარიგებული იყო ჭიის თესლი, მაგრამ ამ დარგშიც შეიქმნა უნუგეშო მდგომარეობა, რადგან არ არის ჭიის საკვები და უნდა ვიფიქროთ რომ თუ ვერ შევძელით სხვა რაიონიდან მაინც მიწვდენა, მთელი ჭია დაიღუპება, რაც ზარალს მიაყენებს როგორც მცხოვრებთ და ერობას, ისე თვით რესპუბლიკას.

დასეტყვილი სოფლები შეადგენენ უმთავრეს რაიონს, სადაც ერობა და სხვა დაწესებულებანი იძენდენ სურსათს. ამ რაიონის უმოსავლობა და მცხოვრებთა დამშევა, აუცილებლად გამოიწვევს სასურსათო კრიზისს მთელ მაზრაში, რადგან მისი ბეღელი ცარიელი დარჩება.

მდგომარეობა, როგორც მაზრაში ისე თვით თელავში სურსათის მხრივ კატასტროფიულია. თვით ქალაქში ყოველ დღე შესაძლებელია არა სასიამოვნო ექსცესები პურის გაძვირების და მის უშოვნელობის ნიადაგზე.

მაზრაში ზედმეტი სურსათი თითქმის არ მოიპოვება, რადგან უკვე მოახლოვებულია ახალი სამოსავლო წელი და ყველამ გაყიდა რამდენიც კი შეიძლებოდა გატაცებული იმ საარაკო ფასებით, რომელიც არის თელავის მაზრაში სურსათზე, ისე რომ შენახული სურსათი არსად არ არის.

ერობის მთავარი ყურადღება ამ ჟამად მიმართულია იქითკენ, რომ რამოდენადძე მაინც შეამსუბუქოს არსებული მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა მიღებულია ზომები, რომ დასეტყვილ რაიონებს მივაწოდოთ სათესლე სიმინდი, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტო ერობის გამგეობას არ შეუძლიან ამდენი საქმის შესრულება. საჭიროა დიდი თანხა და გამგეობას კი იგი არ აქვს. საჭიროა მთავრობის სწრაფი დახმარება ამ მხრივ; სათანადო შუამდგომლობა აღძრულია დეპეშით მთავრობის თავმჯდომარის წინაშე. აქამდის ერობის გამგეობა აწვდიდა სურსათს ადგილობრივ მე-8-ე ათასეულს და სხ. დაწესებულებებს, მაგრამ ამ ჟამად ყველა ეს ოპერაციები შეჩერებულია, რადგან თუ კი შევძლებთ სურსათის შეძენას იგი უნდა გადაეცეს ქ. თელავის დასეტყვილ ნაფარეულის რაიონის მცხოვრებთ.

გაცნობებთ რა ყველა ზემო ჩამოთვლის, გთხოვთ გაგვიწიოთ სათანადო დახმარება, აღძრათ შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს.

# ტფილ. ქალაქის საბჭო

### 7 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე**.

რიგს გარეშე წამოყენებულ იქნა საკითხი პურის გაძვირებისა, რესპუბლიკის ქალაქების 16 ივნისის ყრილობაზე წარმომადგენლის გაგზავნა და ფუნიკულიორის შესახებ.

პურის საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ხმოსანი ფანიევი. მომხსენებელის სიტყვით ამ ჟამად ტფილისში პური ნაკლებად ცხვება. არსებული მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ქალაქის მეფურნეებს, კერძო პურის მცხობლებს პური შემოელიათ, რადგან პურის შემოტანამ იკლო. ამას ზედ დაერთო კახეთში მოსული ნიავღვარი-სეტყვა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენ ქვეყანას. ქალაქის გამგეობამ დაათვალიერა ყველა საწყობები, მაგრამ გადამალული ფქვილი ვერ აღმოაჩინა. ქალაქის გამგეობა მიიღებს პურის საკითხის მოგვარებისთვის სათანადო ზომებს. მოველით სულ ახლო მომავალში ფოთიდან ფქვილს.

რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენელთა ყრილობაზე დასასწრებლად გაიგზავნა ხუთ დელეგატი: სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციიდან: ივ. გომართელი, ბ. ჩხიკვიშვილი და ალ. ლომთათიძე; სოც.-ფედერალ. ფრაქციიდან დასახელებულ იქნა გრ. გველესიანი და ეროვ.-დემოკ. ფრაქც. პართენ გოთუა.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი საბჭოს მოახსენებს ფუნიკულიორის შეკეთების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ფუნიკულიორს ჭირია შეკეთება. მომხსენებელის აზრით საჭიროა რომ ფუნიკულიორის შეკეთება და მოწყობა ქალაქმა იკისროს. ფუნიკულიორს შეკეთება დასჭირდება თვე ნახევარი მაინც. ხარჯს თხოულობს დაახლოვებით

800,000 მანეთამდე. ეს ციფრი მეტად დიდია, მაგრამ ფუნიკულიორის შეკეთება აუცილებელია. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტით ჯერ-ჯერობით ამ საქმისთვის გაიღება 300,000 მანეთი.

შემდეგ დღიურ წესრიგში შეტანილ „ფრონტის დამხმარე კომიტეტის" განკარგულებაში 1000,000 მანეთის გადადების შესახებ ლაპარაკობს ხმოსანი ფანიევი. „ფრონტის დამხმარე კომიტეტის" განკარგულებაში 100,000 მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქმნა.

შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი მოხსენებანი: მოხუცებულ და უპატრონო ქალთა შესანახად შრომისა და სოციალურ დახმარების სპეციალურ თანხიდან 15,000 მანეთის გადადება, უფასო სასადილოების ხარჯების ასანაზღაურებლად 19,200 ყოველ თვიურად გადადება, უომედო მოვალეების სხვა და სხვასაქალაქო გადასადებისგან განთავისუფლება, ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურზე ნიხრის გადადება, ქალაქის ლაბარატორიაში რძის გასინჯვისა, აღნუსხვისა და სათანადო მოწმობის მიცემის ფასის გადიდება, არტემ სოლომონის ძე დონოვის მამულის საიჯარო დავთრების ძირითადში გადატანა, ზაფხულში ქალაქის ბაღებისათვის ზედ-მეტი მუშების დაქირავება, მადათოვის კუნძულზე მუხრანსკების მამულის შეძენა, „სოციალურ დახმარების დროებით წესების" განხორციელება, სასაკლაოზე ძეხვების დასამზადებელ მექანიკურ ქარხნის შეძენა, ჯარში გაწვეულთა ოჯახების დახმარება, ქუჩის ბავშვების მათხოვრობის აკრძალვის შესახება და სხვა.

## 26 მაისი

### ახალქალაქში.

ეს მეორე წელიწადია, რაც საქართველო აღტაცებით დღესასწაულობს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს—26 მაისს. ამ ბედნიერ დღეს მე დავესწარი ქ. ახალქალაქში და ისე გამიტაცა ეროვნულმა ზეიმმა, რომ დღესაც სიამოვნების ბურუსში ვარ გახვეული! ნუ თუ უკეთესი სამოთხე სადმე არსებობს კიდევ?

ჯავახეთის ტრიალ ამწვანებულ მინდორზე მოეყარა ხალხს თავი. ყველა მათგანი მომღიმარი, კმაყოფილი სახით გამოსთქვამდნენ თავის გულის ხმასა. ვის არ აღუძრავდა გულში ეს საუცხოო სურათი სამშობლოს სიყვარულს. ამ სანახაობამ სოფლის პატარა გოგონაც კი პოეტურად აამეტყველა. მან ახალგაზდული წმინდა გრძნობით შემდეგი „ლექსით" მიმართა ხალხს: „მეც ტაშს გიკრავთ, მეც უმღერი ვაშა, ვაშა თქვენს კაცობას, თქვენს ამაგს და მებრძოლ ხელებს, გაუმარჯოს მუშა ხალხსა, გაუმარჯოს ჯარს, გაუმარჯოს ბორკილ აყრილს თავისუფალს ჩემ საყვარელს საქართველოს". რამაც დამსწრეთა შორის სიხარულის ცრემლები გამოიწვია და ხალხმა თითქმის გაუმარჯოს ერთხმად შესძახა: გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკის სიმტკიცეს და ძლიერებას.

**მესხეთელი ქალი.**

## განცხადებანი

ქუთაისის ქალაქ. მილიციის სამმართველო თანახმად ქრისტეფორე ონისიმეს ძე ასათიანის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების და პირადობის მოწმობა, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 549 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ივანე ბეჟანის ძე ფალავანდიშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო პასპორტი, მიცემული შორაპნის მაზრის უფროსისგან 1907 წ. 24 ნოემბერს № 611 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიცემული ქუთაისის სამაზრო სამხედრო უფროსისგან 22 ოქტომბერს 1918 წ. ზედ აღნიშნული ალფავიტის № 21—1899 წ. სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოშიდ ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 550 3—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 199, მიღებული ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიიდან ეგიშე ხაჩატურის ძე შახბაგოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1285 3-1

ასატურ ზურაბის ძე მადატოვი ამით აცხადებს, რომ ყველა ვექილობანი, მიცემული მისდამი ყაზარ სუკიასის ძე ბეკჩიანცის და მარკარ ოგანეზის ძე ტერ-არუტიუნიანცის სახელზე გაუქმებულია. 1288 3—1

დაიკარგა პასპორტი № 42 ევგენია ალ. აკინფიევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტის სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. უფ. 3-1

დაიკარგა სამი სულის სასურსათო წივნაკი № 7479 გაბო შავერდოვის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1374 3-1

ტფ. სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ ივანეს ასულმა მელნიკოვისამ შემოიტანა თხოვნა, რომ მისი ქმარი პეტრე კუზმას ძე მელნიკოვი, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1913 წ., უკვალოდ დაიკარგა 1915 წლ. რის გამო აღნიშნული ცოლი მისი მარიამ ივანეს ასული მელნიკოვისა ითხოვს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის პეტრე კუზმას ძის მელნიკოვის მისამართი, ვალდებულია „საქართველოს რესპუბლიკაში" არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 1322 3—1

მე მეხუთე უბნის უფროს მილიციონერმა სოფრომ კალანდარიშვილმა დავკარგე თავის პირადობის მოწმობა, მოცემული ქ. ტფ. მილიციის უფროსის მიერ. გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულად. 1311 3—1

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონს ნიკოლოზ გეურქის ძე ტერტეროვს ქალაქ ტფილისში 1 საკომისარო უბანში, წყნეთის ქუჩ. № 34 დაუკარგავს ღვინის შეძენის მოწმობა, მიცემული საქციზო სამმართველოს მიერ 1920 წ. 19 აპრილიდგან 1890 №-ით, მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1347 3—1

კლემენტი არსენის ძე სანადირაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1917 წ. ივნისის 15-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მიჰყიდეს მას ნიკო მიქელის ძე სანადირაძემ და მატრონა დავითის ასულმა სანადირაძისამ 3.000 მან. მიწის ნაჭერი, მდებარე სოფ. ვანში ზომით 1800 კვ. ს. სასიმინდით, ნალიათი, 9 ქვევრით და საწნახელით. სიგელი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სომხეთის მთავრობიდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული სოფ. მოსესკანთის მღვდლისაგან სანტურ ოგანესის ძე აკოფოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1359 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1051 აბესალომ პავლეს ძე ცუხიშვილის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1360 3—1

დაიკარგა ტფ. პირველი კერძო ლომბარდის ბარათი № 79144 სამასი მანეთის ღირებულების, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1346 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი გონჩარის ქუჩაზე, № 50, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის დმიტრიევს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1348 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 18793 ისაკი ესტატეს ძე ღულუნაძის სახელზე, მიღებული ტფ. სალაქის მილიციის უფროსისაგან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1361 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ნატალია სერგოს ასული ბოჩაროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1364 3—1

მომარაგების სამინისტრო აცხადებს, რომ მოწმობა № 1638 მიმდინარე წლის 19 თებერვლის თარიღით მიცემული, რომელიც ანიჭებდა თამბაქოს ჭარხანას „სლონს" საქართველოს რესპუბლიკის პროვინციებში 2.500 ფუთი თამბაქოს შეძენის უფლებას, უნდა ჩაითვალოს გაბათილებულად. 616 3—1

დაიკარგა პასპორტი № 972 გიორგი სოლომონის ძე საკევრაშვილის სახელზე, მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1916 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1379 3—1

დაიკარგა მოწმობა № 539 ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გრეჩუნოვიჩის სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1372 3—1

დაიკარგა მემკვიდრეობის მოწმობა № 852 მარიამ, არმენაკ და არტემი ტერ-მაკაროვების სახელზე, მიღებული მე-20 უბნის მომრიგებელ მოსამართლისგან. 1376 3—1

დაიკარგა პასპორტი მარიამ ანისიმის ასული ლისეჩენკინის სახელზე, მიღებული ყარსის თვითმართველობისაგან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1377 3—1

დაიკარგა ვადა გასული პასპორტი № 531, მიღებული მენაშე შ. გრინშტეინის მიერ ტუჩინოს სოფლის სამმართველოდან (ვოლინის გუბ., როვენის მაზრა) 1916 წ. ივლისის 1-ს. 1338 3—1

დაიკარგა პასპორტი № 142 ევგენია ვასილის ასული სკუს სახელზე, მიღებული კოპაჩანის ოლქიდან (ბესარაბიის გუბერნია) 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1392 3—1

დაიკარგა პასპორტი დარია მირიანის ასული ნანეიშვილის სახელზე, მიღებული ქუთ. თავადაზნაურთა საბჭოს სამამართველოდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1354 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ქ. ახალბაიაზეთის თვითმმართველობიდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ქ. ახალბაიაზეთის მღვდლისაგან ორივე საბუთი გეურქ ავეტის ძე დილანიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1356 3—1

დაიკარგა „მოუზერის" სისტემის რევოლვერის და გერმანიული ვინტოვკის ტარების ნებართვა № 6988 ვასილ ნემსაძის სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1358 3—4

დაიკარგა უვადო პასპორტი № 375 დიმიტრი დავითის ძე წერეთელის სახელზე, მიღებული ქუთაისის ქალაქის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1333 3—1

დაიკარგა მოწაფეების მოწმობა, მიღებული გორის საოსტატო სემინარიიდან და სამხედრო ბეგარის 1920 წ. მორიგ გაწვევის უწყება, გორის საოსტატო სემინარიის მოწაფის ანდრია მჭელის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1334 3—1

დაიკარგა ხონის საოსტატო სემინარიის ვათავების მოწმობა და მეტრიკული მოწმობა პორფირე სისოს ძე წირქვაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1339 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი სოფლის ქუჩაზე, № 9 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის გაბო ოძელაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1342 3—1

7 აპრილს ა. წ. დაიკარგა პასპორტი, მოცემული მარნის საერობო სამმართველოდან № 124 13 ეკენისთვიდან 1919 წ. გარსევან ქაიხოსროს ძე თელიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 595 3—3

დაიკარგა მოწმობა, მიცემული თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის მიქაბერიძის სახელზედ. 1255 3—3

ვერა ავაქას ასული სტურუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ფულით დახმარების წიგნაკი № 6, მიცემული ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან. 1259 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი იაკოფ ანდრიას ძე ნიკოლაევის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 16 აპრილს 1909 წ. რეესტრით №№ 923. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1351 3—3

ქოდალოს უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ კაკაბეთში მცხოვრებ მიხეილ ალექსანდრეს ძე მირველიანცის მემკვიდრეთ; რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება განსვენებულის ქონებაზე მე-10 ტ, 1 ნაწ. 1241 მან. მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1207 2—2

დაიკარგა ვადა გასული პასპორტი № 19914 სამსონ დავითის ძე ბახტაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1349 3—3

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფ. ქალაქ. მილიციის უფროსისგან სიმონ ალექსანდრეს ძე ტერ-მკრტიჩიანცის სახელზე. № 21069. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1265 3—3

დაიკარგა პასპორტი № 2831, როზალი განსის ასული სიდერმანის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1256 3—3

დაიკარგა პასპორტი რასტისლავ რასტისლავის ძე რაინბოტის სახელზე, მიღებული სმოლენის პოლიციის სამმართველოდან 1911 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1258 3—3

დაიკარგა პასპორტი სიმონ არიუტინის ძე დანელიანცის სახელზე მიღებული ქალ. შუშიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1313 3—3

სილიბისტრო სოლომონია აცხადებს, რომ მან დაკარგა მოწმობები მიცემული ნოსირის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლის მიერ და პირადობის მოწმობები მე-12 უბნის მილიციის უფროსის და ნოსირის სოფლის ყოფილი კომისრის მიერ. მოწმობები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს 597 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 192 ილარიონ გეგელიძის სახელზე, მიღებული სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილებიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1267 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი სეიდაბადის ქუჩაზე № 18, მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთნის სოლომონ ალიოღლის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1272 3—3

დაიკარგა პასპორტი ივანე ოქროს ძე ჯავახიშვილის სახელზე, მიღებული სამაზრო სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1274 3—3

ახალციხის ოლქის შტაბის თავმჯდომარე ივანე ვასილის ძე ხმალაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირველი და მეორე გუნდის გვარდიელთა აპრილის ჯამაგირის სიები. მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 593 3—3

დაიკარგა ხუთი აღსრულებითი ფურცელი №№ 790, 791, 792, 793 და 794, რომლებიც ხელმოწერილი იყო დათა ჭყონიასაგან და მიცემული ანნა ისიდორეს ასული მხეიძეზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 592 3—3

## ვაჭრობა-მრეწვ. დეპარტამენტი

ამით აცხადებს ყველა-სამრეწველო დაწესებულებების—ფაბრიკების, ქარხნების, სამთო და სახელოსნო სამრეწველოთა მეპატრონეების და მოჯარადრეების საყურადღებოდ, რომ თანახმად ნავთსადგურის სამმართველოსთან არსებულ სათბობ მასალის განმ ნაწილებელ ბიუროს დადგენილებისა, 1920 წ. ივნისის 15-ი რიცხვიდან, დროებით თხელი სათბობი მასალა (დენატურატი) დაეთმობა მხოლოდ იმ სამრეწველო დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ შიდაწვის ძრავები. 631 1—1

## ფოთის საბაჟო აცხადებს,

რომ 13 ამა ივნისს ქ. ფოთში საბაჟოს სადგომთან ნავთსადგურში დილ. 11 საათიდან

### საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

შემდეგი კონტრაბანდული საქონელი: ფანჯრის შუშები, ჩულქები, საპირე ტყავი, ლურსმანი, პირსახოცები, მოტოციკლეტი, ანკესები, ფუფაიკები, შოკოლადი, ლილა დ სხვანი. 629